



N 35/4193
19/08/2021

4193-35-2-202108191237



ააიპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელს,
ბატონ არჩილ კაიკაციშვილს
თბილისი, დავით აღმაშენებლის N 171

თქვენი, 2021 წლის 16 ივლისის N164 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის საქმიანობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები - დებულება, წესდება ან/და მინისტრის ან/და რექტორის ბრძანება.

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი (შემდგომში: დშმი/სმეც) ოპერირებს საქართველოს სეისმურ და გეოდეზიურ ქსელს. ის პასუხისმგებელია ქვეყნის სეისმური საფრთხის და რისკების შეფასებისათვის განსაზღვრული სამეცნიერო კვლევების წარმოებაზე. სეისმური ქსელის სპეციფიკიდან და სამეცნიერო კვლევების მულტიდისციპლინარულობიდან გამომდინარე, მიწისძვრის მონიტორინგისათვის და საფრთხეების პრევენციისათვის საჭიროა ქსელის მუდმივი განახლება და მისი მუშაობის თანამედროვე სტანდარტი. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის (დშმი/სმეც) საქმიანობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი მოცემულია დანართში.

2. რა მონაცემთა ერთობლიობას განსაზღვრავს საქართველოს ციფრული სეისმური ქსელი, არის თუ არა ქსელის მონაცემები ხელმისაწვდომი დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რა წყაროებით და როგორ ხდება მისი შევსება და განახლება?

თქვენი შეკითხვის პასუხად გაცნობებთ, რომ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი 2003 წლიდან ქმნის საქართველოს ციფრულ სეისმურ ქსელს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტისა და აშშ-ის უნივერსიტეტების სამეცნიერო გუნდის დახმარებით. ქსელისა და მონაცემთა განახლება ძირითადად მსხვილი საერთაშორისო პროექტების ხარჯზე მოხდა, განსაკუთრებით, ბოლო 5-6 წლის განმავლობაში. ჩვენი სამეცნიერო გუნდი ციფრული სეისმური ქსელის შექმნის დღიდან, მონაცემებს კატალოგისა და პირველადი მონაცემების (ე.წ. ბიულეტენები) სახით აწვდის დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ცენტრს - <http://www.isc.ac.uk/>.

აგრეთვე, ჩვენი ციფრული სეისმური ქსელის ტალღური ჩანაწერები გადაეცემა აშშ-ის 120 უნივერსიტეტის კონსორციუმს - <https://www.iris.edu/>.

კავკასიაში რეგისტრირებული ძლიერი მოძრაობების ბაზა ასევე ატვირთულია ვებ-გვერდებზე:

<https://esm-db.eu/#/home>

<https://www.orfeus-eu.org/data/strong/>

3. რა ინფორმაციის მატარებელია ცენტრის მიერ მომზადებული კატალოგები და პირველადი მონაცემები (ე.წ. ბიულეტენები, ტალღური ჩანაწერები), რა პერიოდულობით მზადდება დასახელებული დოკუმენტები, სად ხდება მათი ხელმისაწვდომობა და მოძიება?

მესამე კითხვა მეორე შეკითხვის იდენტურია. დავამატებთ, რომ მასალები გადაეცემა, საერთაშორისო ცენტრს მიწისძვრის ხდომილებიდან მყისიერად, თუ ამ მასალებზე არ ვრცელდება საავტორო უფლებები.

4. გთხოვთ, განმარტოთ, რა ტიპის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი და საჯარო მიწისძვრების მონაცემთა თაობაზე და რა - არა. გთხოვთ, მიუთითოთ ბმული სადაც ჩვენ შევძლებთ ამ ინფორმაციის გადამოწმებას. რა არის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ან პირიქით - მიზეზი?

მეოთხე შეკითხვაც იდენტურია მეორე და მესამე შეკითხვის. რაც შეეხება ხელმისაწვდომობას: საქართველოს სეისმური ქსელის მონაცემები ღიაა, თუ ის არ რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საავტორო უფლებების დაცვით.

ნაწილი მონაცემებისა, რომელიც ამჟამად მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გროვდება ჩვენი გუნდის მიერ ჩვენს საერთაშორისო კოლეგებთან ერთად, სამეცნიერო პროექტის დასრულებამდე და გამოქვეყნებამდე, ამ მონაცემებზე საავტორო უფლება ეკუთვნის მთლიანად სამეცნიერო, საერთაშორისო გუნდს და შესაბამისად, ჯერჯერობით საჯარო არ არის. აღნიშნული საკითხი რეგულირდება სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“, აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტსა და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით (პროექტები P692 „დიდი კავკასიონის აზევება და სეისმური სტრუქტურა“ და P750 „სეისმური ქსელის გაფართოება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში“). გთხოვთ, მიმართოთ უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის საქართველოს წარმომადგენლობას ხელშეკრულების გაცნობის მიზნით, ინსტიტუტს მისი გასაჯაროების უფლება არა აქვს.

1990 წლამდე ანალოგური სეისმური მონაცემების ბიულეტენები არსებობს როგორც გეოფიზიკის ინსტიტუტში, ასევე მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

5. გთხოვთ, განმარტოთ, რა ტიპის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვს დღესდღეობით, როგორც თსუ ნ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს, ასევე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რით არის გამოწვეული აღნიშნული?

ჩვენი სამეცნიერო გუნდის მიერ შექმნილი ციფრული სამეცნიერო ქსელის მონაცემები და კატალოგები, რომლებიც განთავსებულია დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ცენტრის და ამერიკის 120 უნივერსიტეტის კონსორციუმის მონაცემთა ბაზაში, ხელმისაწვდომია ყველასთვის, მათ შორის გეოფიზიკის ინსტიტუტის მკვლევრებისთვის. იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული სამეცნიერო, ან კომერციული ამოცანა აქვს მკვლევარს, მან უნდა ჩამოტვირთოს მონაცემები და დაამუშაოს შესაბამისი მეთოდით. დამუშავების პროცესი კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე განსხვავებულია და დამოკიდებულია მასზე, თუ რა მასალა სჭირდება მას კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად.

6. გთხოვთ, განმარტოთ, ცენტრის მიერ დამუშავებული რომელიმე მონაცემის მიმართ ვრცელდება ცენტრის საავტორო უფლება და განიხილეთ ინტელექტუალურ საკუთრებად. გთხოვთ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განმარტოთ საფუძველი.

მასალა, რომელიც დამუშავებულია კონკრეტული პროექტის ფარგლებში (არ იგულისხმება პირველადი, დაუმუშავებელი მასალა, რომელიც გინდ ანალოგური, გინდ ციფრული სახით ხელმისაწვდომია ყველასათვის) და მას ჰყავს კონკრეტულ მეცნიერთა ჯგუფი ავტორად (მეცნიერები, ვინც ამ მონაცემების დამუშავებაში იღებდნენ მონაწილეობას), ითვლება ინტელექტუალურ საკუთრებად და მის საჯაროობას განსაზღვრავენ ინსტიტუტის თანამშრომლები.

7. გთხოვთ, მოგაწოდოთ ინფორმაცია, არის თუ არა ხელმისაწვდომი 3 მაგნიტუდა და მის ქვემოთ დაფიქსირებული მიწისქვეშა ბიძგების თაობაზე ინფორმაცია ყველა დაინტერესებული პირისათვის? ასეთის არსებობის შემთხვევაში, სად არის განთავსებული აღნიშნული ინფორმაცია?

იხილეთ ამ კითხვაზე პასუხი მეორე კითხვის პასუხში. რაც შეეხება მიკრომონიტორინგს: გაცნობებთ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აშშ-თან ერთად, სამეცნიერო პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქსელის სრული მოდერნიზაცია და ახალი დაკვირვებათა სისტემის განთავსება, რათა წარმომადგენლობითი მაგნიტუდა დაწეულიყო და გვექონოდა მცირემაგნიტუდიან მიწისძვრათა მონიტორინგი. შესაბამისად, ეს მასალა რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებით. ნაწილი ამ მასალისა რა თქმა უნდა გადაეცემა მონაცემთა ცენტრებს. შესაბამისად, ყველა სეისმური სადგურის მონაცემი, რეგულაციიდან გამომდინარე, არ აისახება მონაცემთა ცენტრებში. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს პროცესი, ასევე რეგულირდება საავტორო უფლებით. მაგალითად, არსებობს ლოკალური მონიტორინგი, რომელსაც ამჟამად ვახორციელებთ თუშეთის სეისმურ პროფილზე. ეს მონაცემები ვერ იქნება ღია, ასევე როგორც გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ წარმოებული ენგურის ლოკალური, სეისმური მონიტორინგი, რომლის მონაცემები საჯარო არ არის.

8. გთხოვთ, მოგაწოდოთ სტატისტიკა, საქართველოში 3 მაგნიტუდა და მის ქვემოთ დაფიქსირებული მიწისქვეშა ბიძგების თაობაზე 2019-2021 წლის მდგომარეობით?

მოგახსენებთ, რომ ინფორმაციის გამოთხოვა უნდა იყოს დასაბუთებული, სად და რისთვის გამოიყენებთ ჩვენი ცენტრის მასალას, დავამატებთ შემდეგს, ეს სტატისტიკა შეგიძლიათ თავად მოიძიოთ სამეცნიერო ცენტრებში. თუ დამუშავებული მასალის მოპოვება გასურთ, ეს რეგულირდება საკითხია, რადგან მასზე უნდა იმუშაონ ინსტიტუტის თანამშრომლებმა და შექმნან პროდუქტი.

9. გთხოვთ, მოგაწოდოთ ინფორმაცია, ცენტრს საქართველოს ტერიტორიაზე რამდენი სეისმური სადგური გააჩნია და როგორია დაფარვის გეოგრაფიული არეალი და ამ არეალში სადგურები რაოდენობა?

ინფორმაცია საქართველოს სეისმური ქსელის შესახებ განთავსებულია ჩვენს ვებგვერდზე:

www.ise.iliauni.edu.ge

10. განეკუთვნება თუ არა მიწისძვრების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას?

ინფორმაცია მიწისძვრის ხდომილების შესახებ არის საჯარო და ის შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე, თუ ის არ წარმოადგენს, კონკრეტულად, რომელიმე პროექტის ფარგლებში მოპოვებულ მასალას.

11. ახორციელებს თუ არა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი მონაცემების მომზადებას და გაცემას კომერციული ნიშნით. ასეთი მომართვის შემთხვევაში, რა ვადაში მზადდება სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის სეისმურობაზე დასკვნა და რომელი დოკუმენტი განსაზღვრავს მომსახურების ფასს?

ჩვენი ინსტიტუტი ახორციელებს სამეცნიერო სერვისს. მონაცემების გაყიდვა ჩვენს საქმიანობას არ წარმოადგენს, ვინაიდან ეს მონაცემები არის საჯარო, ხოლო ნაწილი რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებით და საავტორო უფლებებით მის გამოქვეყნებამდე.

12. ამჟამად, რა პროექტებს ახორციელებს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ვინ არის დონორი ორგანიზაცია?

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო და კვლევით პროექტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. დონორი ორგანიზაცია ცენტრს არ ჰყავს, დონორი ორგანიზაციები აქვს სხვადასხვა სახის პროექტებს.

13. რამდენს შეადგენს და შეადგენდა 2019, 2020 და 2021 წლის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო დაფინანსება და ბიუჯეტი.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო დაფინანსება 2019 წელს შეადგენდა 1 586 886 ლარს, 2020 წელს - 985 000 ლარს, 2021 წელს - 958 000 ლარს.

პატივისცემით,

თეა გოდოლაძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

